ესაბამისად, ჯეროვნად და ხარისხიანად;

8.1.2. დაუყოვნებლივ შეატყობინოს „შემსყიდველებს“ ან „სააგენტოს“ იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც აკოლებენ სამუშაოთა მიმდინარეობას და მის მიერ ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულფასოვან სრულებას;

8.1.3. საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს მის მიერ ჩატარებულ სამუშაოზე გამოვლენილი დეფექტი ან ნაკლი;

8.1.4. სამუშაოების შესრულებისას დაასაქმოს კვალიფიციური მუშახელი;

8.1.5. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8.1.6. დაუყოვნებლივ მიაწოდოს „შემსყიდველებს“ მის ხელთ არსებული ინფორმაცია მოსალოდნელ მოვლენებზე ან გარემოებებზე, რომლებსაც შეუძლია უარყოფითად იმოქმედონ ხარისხზე, შეაყოვნონ სამუშაოთა ჩატარება ან გაზარდონ სახელშეკრულებო თანხა;

8.1.7. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით ქვე-კონტრაქტის გაფორმების საჭიროების არსებობის შემთხვევაში, წინასწარ წერილობით შეუთანხმოს „შემსყიდველებს“. ქვე-კონტრაქტი არ ცვლის „მიმწოდებელის“ ვალდებულებებს ხელშეკრულებასთან მიმართებაში;

8.1.8. შეასრულოს სამუშაო უსაფრთხო და ეკოლოგიურად მისაღები გზით და დაიცვას ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობიოთ გათვალისწინებული მოთხოვნები. წინააღმდეგ შემთხვევაში სრული პასუხისმგებლობა ეკისრება „მიმწოდებელს“;

8.1.9. სამუშაოების დასრულების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა, თავისი ძალებით და სახსრებით გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ.;

8.1.10. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

8.1.11. ზედმიწევნით დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებები.

8.1.12. მიმართოს სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შესაბამისი ექსპერტიზის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად;

8.1.13. სამუშაოების შესრულებისას გამოყენებული სხვადასხვა მასალები, მოწყობილობები და დანადგარები უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს;

8.1.14. „მიმწოდებელმა“ მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვერის გავლენა გარემოზე;

8.1.15. „მიმწოდებელმა“ უნდა შეათანხმოს „შემსყიდველთან“ სამშენებლო სამუშაოების დროს გამოსაყენებლი მასალის ფაქტურა, ხარისხი და ფერი;

8.1.16. „მიმწოდებელი“ ვალდებულია სამშენბლო სამუშაოების მთელ პერიოდზე მოხმარებული წყლის და ელექტრო ენერგიის საფასურის ანაზღაურება უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით.

8.1.17. „სააგენტოს“ მიერ „მიმწოდებლისათვის“ დროებით სარგებლობისთვის გადაცემული სამფაზა ელექტრო და წყლის მრიცხველების საშუალებით უზრუნველყოს ყველანაირი სამუშაოების ჩატარება საკუთარი სახსრებით.

8.2. „სააგენტო” ვალდებულია:

8.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

8.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

8.2.3. გადასცეს „მიმწოდებელს“ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული საპროექტო დოკუმენტაცია;

8.2.4. წერილობითი ფორმით აცნობოს „მიმწოდებელს“ მომსახურების გაწევის დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ;

8.2.5. „სააგენტო“, „ცენტრი“ და „აკადემია“ ვალდებულნი არიან მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების მე–2 მუხლის 2.2.1. პუნქტით გათვალისწინებული ღირებულების სამუშაოების თანაბარ დაფინანსებაზე.

8.2.6. „სააგენტო“ ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების მე–2 მუხლის 2.2.2. პუნქტით გათვალისწინებული ღირებულების სამუშაოების დაფინანსებაზე.

8.2.7. დროებით კვებისა და აღრიცხვიანობის კვანძის მონტაჟისათვის „სააგენტო“ მიაწვდის „მიმწოდებელს“ დროებით სარგებლობისთვის არსებულ სამფაზა ელექტრო და წყლის მრიცხველებს;

8.2.8. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.3. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.3.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება;

8.3.2. მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

8.4. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.4.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი და ინსპექტირება;

8.4.2. მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

8.4.3. მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების 6.3. პუნქტის შესაბამისად ავანსად ანაზღაურებული სახელშეკრულებო ღირებულებიდან იმ თანხის დაბრუნება, რაც აღემატება შესრულებული სამუშაოს ღირებულებას.

9. გარანტია

9.1. შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადის დინება იწყება შესყიდვის ობიექტის „მიღება-ჩაბარების“